ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტი

ბავშვთა შრომის მძიმე ფორმების თაობაზე **2023** წელს

მოპოვებული მონაცემები

საქართველო

2023 წელს საქართველომ განახორციელა საშუალო ხარისხის წინსვლა ბავშვთა შრომის მძიმე ფორმების აღმოფხვრის სფეროში. შრომის ინსპექციამ 2022 წელს ჩატარებულ 845 შემოწმებასთან შედარებით სამუშაო ადგილების 5,847 ძირითადი და განმეორებითი შემოწმებები ჩაატარა, მთავრობამ ასევე 20 პროცენტით გაზარდა სოციალური პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა, რის ფარგლებშიც მოხდა უსახლკარო ბავშვთა ვინაობის გამოვლენა და მათთვის დახმარების აღმოჩენა. გარდა ამისა, მთავრობამ საჯარო მომარაგების ახალი კანონი მიიღო, რომელშიც შედის კანონმდებლობა ადამიანების ტრეფიკინგზე რეაგირების თაობაზე, ბავშვთა ტრეფიკინგის ჩათვლით; გენერალურმა პროკურორმა და შრომის ინსპექციამ გაზარდა წვდომა კერძო მეწარმეებთან და ჩაატარა საინფორმაციო სემინარები ადამიანების ტრეფიკინგის და ბავშვთა შრომის თავიდან აცილების მიზნით. მიუხედავად ამისა, საქართველოში არსებული შრომისათვის შესაფერისი მინიმალური ასაკის ნორმები არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან ისინი არ მოიცავს ბავშვების არაფორმალურ შრომას. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსი არ კრძალავს კატეგორიულად ბავშვების გამოყენებას არაკანონიერ ქმედებაში. უფრო მეტიც, ადამიანების ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულ ორგანიზაციებს შორის ეფექტური კოორდინაციის ნაკლებობის გამო მსხვერპლი-ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალისხმევა არ არის ადექვატური.

მთავრობის მიერ ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების განხორციელება ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი იმ ჩავარდნების გამოსწორებას, რომლებიც საქართველოს გააჩნია ბავშვების შრომის მძიმე ფორმების აღმოფხვრის საერთაშორისო სტანდარტების მიღწევის სფეროში.

სფერო	რეკომენდირებული ღონისძიებები
კანონები	უზრუნველყოფილი იყოს, რომ შრომის მინიმალური ასაკი ეხებოდეს ყველა ბავშვს, არაფორმალურ შრომაში ჩართული ბავშვების ჩათვლით.
	სავალდებულო განათლების ასაკის ზღვარი გაიზარდოს 15-დან 16 წლამდე, - შრომის დაწყების მინიმალურ ასაკამდე.
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ შრომის კანონმდებლობაში განსაკუთრებით ნათლად გაიწეროს მსუბუქი შრომა, დასაშვები საქმიანობის სიების ჩათვლით, რაც ნებადართული იქნება 15 წლის ბავშვებისათვის, რათა ბავშვები დაცული იყვნენ მძიმე შრომაში ჩართვისაგან.
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ კანონში კრიმინალურად აიკრძალოს

სფერო	რეკომენდირებული ღონისძიებები
	ბავშვების გამოყენება არაკანონიერ ქმედებებში, მათთვის ნარკოტიკების წარმოებაში და გადატანაში მონაწილეობის დავალება ან შეთავაზება.
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ კანონში კრიმინალურად აიკრძალოს 18 წლამდე ასაკის ბავშვების არასამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებში გაწვევა.
აღსრულება	გაგრძელდეს კომუნიკაციების გაძლიერება შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური საგამოძიებო ჯგუფებს შორის მთელს ქვეყანაში, აჭარის რეგიონის საგამოძიებო ჯგუფების ჩათვლით, რათა ადამიანების ტრეფიკინგის საქმეების გამოძიება კოორდინირებულად წარიმართოს.
კოორდინი-რება	დაინერგოს კოორდინირების მექანიზმები ბავშვთა შრომის ყველა ფორმების თავიდან აცილების და აღმოფხვრის მიზნით - სასოფლო-სამეურნეო და შრომის სხვა არაფორმალური ფორმების ჩათვლით.
	გაძლიერდეს კოორდინაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურორის ოფისის, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამმართველოს და სხვა სამთავრობო დაწესებულებებს შორის, როცა საქმე ეხება ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების დახმარებას. გაიზარდოს ანტი-ტრეფიკინგის უწყებათაშორისი კოორდინაციის საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა, და სისტემატიურად და დროულად გამოქვეყნდეს მთავრობის ანტი-ტრეფიკინგის სფეროში განხორციელებული ძალისხმევის შეფასების ანგარიშები
მთავრობის პოლიტიკა	ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყოს მიღებული, რომელიც მიმართული იქნება ბავშვების შრომის ყველა შესაბამისი ფორმის აღმოფხვრისაკენ, ბავშვების სოფლის მეურნეობაში და სხვა არაფორმალურ შრომით საქმიანობაში ჩართვის ჩათვლით.
სოციალური პროგრამები	შეგროვდეს და გამოქვეყნდეს მონაცემები ბავშვთა შრომის მასშტაბების და თავისებურებების თაობაზე, - სოფლის მეურნეობაში და არაფორმალურ სექტორში ბავშვების შრომის გამოყენების ჩათვლით, - პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის და პროგრამებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.
	გაუმჯობესდეს განათლების ხელმისაწვდომობა ბავშვების ყველა დაუცველი ჯგუფებისათვის, ქუჩის ბავშვების, უნარშეზღუდული, ემიგრანტი და პერიფერიებში მცხოვრები ბავშვების ჩათვლით. შეგროვდეს და გამოქვეყნდეს მონაცემები იმ უნარშეზღუდულ ბავშვებზე, რომლებიც არ დადიან სკლაში; უზრუნველყოფილი იქნას

სფერო	რეკომენდირებული ღონისძიებები
	ინფრასტრუქტურების და სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა, და ასევე უზრუნველყოფილი იქნას მასწავლებლების და დამხმარე პერსონალის შესაბამისი რაოდენობის არსებობა. გაგრძელდეს ძალისხმევა, რათა ემიგრანტი ბავშვებისათვის, - ბოშათა დასახლებების ბავშვების ჩათვლით, - გაიცეს პირადობის მოწმობები, და უზრუნველყოფილი იყოს მათთვის განათლების მისაწვდომობა.
	განათლების სისტემაში გაძლიერდეს ზომების მიღება, რათა გამოვლენილი და თავიდან აცილებული იყოს ბავშვების მიერ სკოლის გაცდენა და მიტოვება; გაძლიერდეს სკოლაში სავალდებულო დასწრების მოთხოვნები, რათა ბავშვების შრომით საქმიანობაში ჩართვა თავიდან იყოს აცილებული.
	გაფართოვდეს არსებული პროგრამები, რათა ეს პროგრამები მუშაობდეს ბავშვების შრომის პრობლემებზე, განსაკუთრებით ქუჩის ბავშვების პრობლემებზე, და გაიზარდოს ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომი რესურსები.